განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

**ტურიზმი მაგისტრატურა**
**ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა**

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**და**
**ლუმიერის ლიონ 2 უნივერსიტეტი (საფრანგეთი)**
Lumière University Lyon 2 (France)
**(Tourism,Tourisme)**

შეფასების თარიღ(ებ)ი 08.11.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი 29.11.2019

თბილისი
2019

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საჯარო სამართლის იურიდიული პირი -<br><br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი<br>ლუმიერის ლიონ 2 უნივერსიტეტი (საფრანგეთი)<br>Lumière University Lyon 2 (France) |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ერთობლივიერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა<br>ტურიზმი[1] |
| განათლების საფეხური | II საფეხური (მე-7-ე დონე) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | 1015 ტურიზმის მაგისტრი (Master in Tourism, Master en tourisme) - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი<br><br>ტურიზმის და კულტურული მემკვიდრეობის მაგისტრი (Master in Tourism and Cultural Heritage, Master en Tourisme et Patrimoine Culturel et Patrimoine Culturel) - ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ 2 |
| სწავლების ენა | ქართული [2] |
| კრედიტების რაოდენობა | 120 ECTS |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა დევიძე, პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მანანა ვასაძე, პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რუსუდან ზაზაძე, სტუდენტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |

[1] (Tourism,Tourisme)
[2] ფრანგულენოვანი კომპონენტით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წინაპირობას წარმოადგენს 2019 წლის 26 მაისს ხელმოწერილი „შეთანხმება საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის „ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის“ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით“ (იხ. დანართი 7), რომლის მთავარი მიზანია ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა საფრანგეთისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ერთობლივი პროგრამების განხორციელებით ან საქართველოში ფრანგული დიპლომის გაცემით.

პროგრამის განვითარება, ასევე, ეფუძნება 2017 წლის 10 მაისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ლუმიერის უნივერსიტეტის ლიონ 2-ის შორის შეთანხმებას განათლების სფეროში თანამშრომლობაზე. საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და საფრანგეთის ლუმიერის უნივერსიტეტის ლიონ 2 (ლლუ2) ტურიზმის დეპარტამენტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე განხორციელდა 2019 წლის 8 ნოემბერს. ვიზიტამდე (7 ნოემბერს), განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (ეკა დევიძე, მანანა ვასაძე, რუსუდან ზაზაძე), შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის და თანმხლები დოკუმენტაციის ირგვლივ არსებული კითხვები დააზუსტეს და წარმოადგინეს მოსაზრებები. განსაზღვრეს ის საორიენტაციო კითხვები, რაც აკრედიტაციის ვიზიტის დროს ინტერვიუს პროცესში დაისვა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თვალსაზრისით.

8 ნოემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი დღის წესრიგის მიხედვით დაიწყო. ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან მიმდინარეობდა დღის წესრიგით გათვალისწინებული შესაბამისი დროის და ინტერვალის დაცვით, კერძოდ: შეხვედრა უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, დაწესებულების/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელ(ებ)თან, პროგრამის ხელმძვანელ(ებ)თან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – ბიბლიოთეკა (წიგნადი ფონდი), აუდიტორიები და ა.შ. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში დიალოგის რეჟიმით. სკაიპით განხორციელდა ჩართვა ფრანგულ მხარესთან - უცხოელ პროფესორებთან, საუბრისას გამოიკვეთა, რომ ერთობლივი ორმაგი ხარისხის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ლუმიერ ლიონ 2-ის პოლიტიკას, რომელიც გამოირჩევა უცხო უნივერსიტეტებთან ფართო თანამშრომლობით. პროგრამაში მონაწილე სტუდენტთა სწავლება განხორციელდება ერთობლივად თსუ-ში, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და LLU2- ის გეოგრაფიის და დაგეგმარების, ისტორიის, ხელოვნების ისტორიისა და არქეოლოგიის, ტურიზმის და ურბანიზაციის ფაკულტეტის მასწავლებელთა მიერ, რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავების პროცესში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფრანგული უნივერისტეტის მონაწილეობით მიზნად ისახავს მოამზადოს ორენოვანი, კულტურულ მემკვიდრეობაზე სპეციალიზირებული ტურიზმის ბიზნესის ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, მულტიკულტურულ გარემოში მაღალი პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარის მატარებელი კონკურენტუნარიანი კადრები. პროგრამის მიზანი, ასევე, შეესაბამება ლუმიერ ლიონ 2-ის პოლიტიკას, რომელიც გამოირჩევა უცხო უნივერსიტეტებთან ფართო თანამშრომლობით, კერძოდ „ტურიზმის სფეროსთვის სპეციალისტების მომზადება დარგის განვითარების ცოდნით, ტერიტორიების მარკეტინგის და მემკვიდრეობის შეფასების კვალიფიკაციით ტურიზმის მიმდინარე და პერსპექტიული ინოვაციების გათვალისწინებით“.

ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ასევე, თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის დადგენილების №77/2011 „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე. ასევე, ერთობლივი პროგრამის განხორციელების მიზნით ლუმიერის უნივერსიტეტ - ლიონ 2-სა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შეთანხმებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

პროგრამაზე მიღება არის გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომი. სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება თსუ-ის რექტორის ბრძანების საფუძველზე, სადაც წარმოდგენილია გამოცდების ვადები და საჭირო დოკუმენტების ნუსხა. მიღების პირობები, ასევე, განსაზღვრულია სასწავლო პროგრამით და ფაკულტეტის დებულებით.

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია ფრანგული მხარე, კერძოდ ლუმიერის ლიონ 2-ის უნივერსიტეტის ტურიზმის დეპარტმენეტის წევრები და ფრანგულენოვანი სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი.

თსუ-ში სტუდენტის შეფასების სისტემა შეესაბამება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას. ლლუ-2-ში გავლილი სასწავლო კურსების ცოდნის შეფასება ხდება ამ უნივერსიტეტის შეფასების სისტემის თანახმად. შეფასებების/კრედიტების აღიარება ხდება დაწესებულებებს შორის გაფორმებულ ერთობლივი პროგრამის განხორციელებისათვის შედგენილი ხელშეკრულების საფუძველზე.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია მაგისტრატურაში მისაღებ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის (საგანი ,,ტურიზმი“) საკითხების ჩამონათვალს დაემატოს მენეჯმენტის, მარკეტინგის და ფინანსების საკითხებიც.
- სასურველია წინასწარ განისაზღვროს სამიზნე ჯგუფი, რომელსაც ექნება ფრანგულენოვანი კომპეტენცია, რაც ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის გაზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

▪ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| **1.1 პროგრამის მიზნები** |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო პროგრამის მიზნები შემუშავებულია თსუ მისიისა და სტრატეგიული გეგმის შესაბამისად. მიზანი ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის სამაგისტრო პროგრამა მიმართული, კერძოდ: ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფრანგული უნივერსიტეტის მონაწილეობით მიზნად ისახავს მოამზადოს კულტურულ მემკვიდრეობაზე სპეციალიზირებული ტურიზმის ბიზნესის ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, მულტიკულტურულ გარემოში მაღალი პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარის მატარებელი კონკურენტუნარიანი კადრები. პროგრამის მიზანი, ასევე, შეესაბამება ლუმიერ ლიონ 2-ის პოლიტიკას, რომელიც გამოირჩევა უცხო უნივერსიტეტებთან ფართო თანამშრომლობით, კერძოდ „ტურიზმის სფეროსთვის სპეციალისტების მომზადება დარგის განვითარების ცოდნით, ტერიტორიების მარკეტინგის და მემკვიდრეობის შეფასების კვალიფიკაციით ტურიზმის მიმდინარე და პერსპექტიული ინოვაციების გათვალისწინებით“.<br><br>პროგრამა, ასევე, თანხვედრაშია თსუ-ს მისიის ღირებულებებთან დაკავშირებულ კომპონენტში, რომელშიც გაცხადებულია, რომ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იზიარებს ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიით განსაზღვრულ იდეალებს; უნივერსიტეტის ღირებულებები ეფუძნება კრიტიკულ, შემოქმედებით და პროგრესულ აზროვნებას, აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური ეთიკის პრინციპებს, ღია, დინამიურ და გამჭვირვალე ურთიერთობებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და მისი აღწერილობა<br>• პროგრამის სულაბუსები<br>• თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N79/2018 დადგენილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის დამტკიცების შესახებ“<br>• სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024);<br>• ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |

- ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ასევე, თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის დადგენილების №77/2011 „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე. ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისას მონაწილეობდა პროგრამის აკადემიური პერსონალი. პროგრამის შინაარსში/კურიკულუმში ასევე, აისახა დამსაქმებლთა რეკომენდაციები: კერძოდ: პრაქტიკულ სწავლებაზე მეტი ორიენტირება, კვლევის უნარების გაუმჯობესება,

| |
|---|
| ფრანგულის ენის კვალიფიციურ დონეზე ცოდნა და მისი მნიშვნელობა დასავლეთ ევროპის ბაზრის სტიმულირებაში, ასევე, კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალის ტურიზმში გამოყენების მნიშვნელობა და ამ სფეროში საფრანგეთის გამოცდილების გაზიარება. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს ტურიზმის დარგის და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის დადგენილება N77/2011 „სსიპ - ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“<br>• სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა/შინაარსი<br>• პროგრამის სილაბუსები<br>• პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა<br>• პროგრამის სწავლის შედეგებისშეფასების რუკა<br>• შრომის ბაზრის ანალიზი<br>• ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>✓ |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას;<br><br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, კერძოდ: „ტურიზმის“ ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; „ტურიზმის“ ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა, სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდა საგანში „ტურიზმი“ და ფრანგული ენა B1 დონეზე; აბიტურიენტი თავისუფლდება ფრანგული ენის მისაღები გამოცდიდან, თუ იგი ფლობს ფრანგულ ენას ერთიანი ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სტანდარტით B1 და უფრო მაღალ დონეზე და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი საბუთი; სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება არის გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომი.<br><br>სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ფრანგული ენის B2 დონეზე ცოდნის საერთაშორისოდ აღიარებულ დამადასტურებელ საბუთს, თავისუფლდება ფრანგულის ენის B2.1-ს და B2.2.-ს ფრანგული ენის სასწავლო კურსებიდან 10 კრედიტის მოცულობით და ეძლევა საშუალება აირჩიოს ამავე კრედიტების ოდენობის ნებისმიერი სხვა კურსი, თსუ-ს სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან. იმავდროულად, სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა საგანში ,,ტურიზმი“, ხელმისაწვდომია მაგისტრატურაში მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა საგამოცდო საკითხების ჩამონათვალს სასურველია დაემატოს მენეჯმენტის, მარკეტინგის და ფინანსების საკითხებიც. |

| |
|---|
| |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ მაგისტრატურაში მიღების წესი: მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ვადები და წარსადგენი დოკუმენტაცია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება.<br>○ ვებგვერდი<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ სასურველია მაგისტრატურაში მისაღებ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის (საგანში ,,ტურიზმი“) საკითხების ჩამონათვალს დაემატოს მენეჯმენტის, მარკეტინგის და ფინანსების საკითხებიც.<br>○ სასურველია წინასწარ განისაზღვროს სამიზნე ჯგუფი, რომელსაც ექნება ფრანგულენოვანი კომპეტენცია, რაც ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის გაზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>✓ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 120 ECTS კრედიტი: აქედან, პროგრამის სავალდებულო კურსები მოიცავს 110 კრედიტს (სავალდებულო სასწავლო კურსები- 79, პროფესიული პრაქტიკა - 11, სამაგისტრო ნაშრომი - 20) არჩევითი სასწავლო კურსები კი 10 კრედიტს. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, რასაც განსაზღვრავს გამოსაცხადებელი სემესტრი და/ან საგანზე დაშვების წინაპირობა და უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას ეტაპობრივად მარტივიდან რთულის და ზოგადიდან კონკრეტულის მიმართულებით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.<br><br>პროგრამის პირველი, მეორე და მესამე სემესტრი ხორციელდება თსუ-ში და ეთმობა ქართულენოვან სასწავლო კურსებს, რაც შეეხება მეოთხე სემესტრს იგი ხორციელდება საფრანგეთში. მათ შორის, პირველი ორი თვე ეთმობა აკადემიურ კურსებს ლლუ2-ს ტურიზმის დეპარტამენტში. ასევე, პროგრამაში გათვალისწინებულია სტაჟირება (მუშაობა) ფრანგულენოვან ტურისტულ კომპანიებში. სამუშაო ადგილის მოძიებაში სტუდენტებს დახმარებას უწევს ლლუ2-ს ტურიზმის დეპარტამენტი, მათ მიერ უკვე აპრობირებული კომპანიების შეთავაზებით ქვეყნის სხვადასხა რეგიონში. სამაგიტრო ნაშრომი იწერება ფრანგულად, ქართულენოვანი რეფერატით, დაცვა ხდება ლლუ2-ში. მინიჭებულ კრედიტებს აღიარებით თსუ-ს მხრიდან. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა<br>• თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება N153,<br>• დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმი<br>• ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>✓ |
| **შეფასება** |

| |
|---|
| ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.3. სასწავლო კურსი** |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ,,ტურიზმი“ (თსუ-ს მხრიდან) და ,,ტურიზმის და კულტურული მემკვიდრეობა“ (ლლუ2-ს მხრიდან) სტუდენტებს სთავაზობს სავალდებულო და არჩევითი სტატუსის სასწავლო კურსებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგის ნაწილს და შეესაბამება როგორც შინაარსს, ასევე ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სახელმძღვანელო პრინციპებს. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის მოცულობაა 120 ECTS კრედიტი, მათ შორის: პროგრამის სავალდებულო კურსები შედაგენს 110 კრედიტს (სავალდებულო სასწავლო კურსები - 79, პროფესიული პრაქტიკა - 9, სამაგისტრო ნაშრომი - 22) არჩევითი სასწავლო კურსები - 10. აბიტურიენტები, რომლებიც ფლობენ ფრანგულ ენას B2 დონეზე და წარადგენენ შესაბამის საერთაშორისოდ აღიარებულ დოკუმენტაციას - DELF/DALF, TCF, ასევე აბიტურიენტები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რომანული ფილოლოგიის (ფრანგული ენა) სპეციალობით (Major) უფლება ეძლევათ პირველ და მეორე სემესტრში ფრანგული ენის ჯამში 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი ჩაანაცვლოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამების ნებისმიერი კურსით, ან კურსებით, ჯამში 10 კრედიტის მოცულობით.<br><br>სწავლების პირველი სამი სემესტრი ჩატარდება თბილისში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეოთხე სასწავლო სემესტრი - ლიონში (საფრანგეთი), ლუმიერის ლიონ 2-ს უნივერსიტეტში.<br><br>პროგრამის ზოგადი შედეგები დაფუძნებულია შესაბამისი სფეროს აქტუალურ მიღწევებზე. თითოეული სასწავლო კურსისათვის მინიჭებული ECTS კრედიტები გამომდინარეობს სტუდენტის დატვირთვიდან და ასათვისებელი მასალიდან. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და პასუხობს ტურიზმის დარგის აქტუალურ მიღწევებს და ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში, ასევე, უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. სასწავლოკურსები ემსახურება პროგრამის შედეგების მიღწევას. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

✓

**შეფასება**

ㅇ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას 11 კრედიტის მოცულობით. აღსანიშნავია ისიც, რომ ცალკეული სასწავლო კურსი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პრაქტიკის ორგანიზებას ახორციელებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის მაკოორდინებელი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. აღნიშნულ კათედრას და ფაკულტეტის ადმინისტრაციას გაფორმებული აქვს ეკონომიკურ აგენტებთან/სახელმწიფო სტრუქტურებთან მემორანდუმები სტუდენტთა პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარი
- დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარი
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები ეკონომიკურ აგენტებთან
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- სამოქმედო გეგმის 2018 წლის ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

✓

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ტურიზმის ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული საწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს, ასევე, სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №68/2018 -ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №71/2018 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.6. სტუდენტების შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თსუ-ში სტუდენტის შეფასების სისტემა შეესაბამება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას. ლლუ-2-ში გავლილი სასწავლო კურსების ცოდნის შეფასება ხდება ამ უნივერსიტეტის შეფასების სისტემის თანახმად. შეფასებების/კრედიტების აღიარება ხდება დაწესებულებებს შორის გაფორმებულ ერთობლივი პროგრამის განხორციელებისათვის შედგენილი ხელშეკრულების საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამის თსუ-ს სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში. ასევე, სილაბუსში ასახულია მაგისტრანტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტებისთვის სილაბუსი ხელისაწვდომია სემესტრის დასაწყისშივე თსუ ელექტრონული პორტალის საშუალებით. საფრანგეთის უმაღლესის სასწავლებლების, მათ შრის ლლუ2-ს შეფასების სისტემა განსხვავდება საქართველოში და თსუ-ში მოქმედი შეფასების სისტემისგან, თუმცა წარმოდგენილია თავსებადობის და ქულების კონვერტაციის ცხრილი:

| ლლუ2 ქულები | თსუ-ს ქულათა რაოდენობა | თსუ-ს შეფასება |
|---|---|---|
| 16-20 | 91-100 | „A" ფრიადი |
| 14-15 | 81–90 | „B" ძალიანკარგი |
| 13 | 71–80 | „C" კარგი |
| 12 | 61–70 | „D" დამაკმაყოფილებელი |
| 10-11 | 51–60 | „E" საკმარისი |
| 10-ზე ნაკლები | 0–50 | „F" ჩაიჭრა<br>(სტუდენტმა ხელმეორედ უნდა გაიაროს სასწავლო კურსი) |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება #77/2011
- თსუ ელექტრონული პორტალი
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

| |
|---|
